

ნახ. გ. აბაშიძე
ეროვნული
ციფრული გამაცნურების
მუზეუმი

ჭოგჯერ მოხასლეობის 22 პროცენტი გადამ-
ყიდვებისაგან კიდულობს სამრეწველო
პროდუქციას.

გაცემის იდეა

ISSN 0132-6015

19-84



ციფრული გამაცნურების მუზეუმი

შარ- კუნძული

ფულზე სული მიხდის,
ყველაფერზე მიდის!..
ამანათით მოხდის
ყოველგვარი მოდის!..

ყიდულობს და ყიდის,
ყიდულობს და ყიდის:
მანქანას და ნამუსს,
ავეჯსა და სინდის!..

არ აწესებს ხათრი,
არც შიში და რიდი!..
ცხრა მოის იქით მიდის,
ცხრა ზღვის იქით მიდის!..

არც მეგზური უნდა,
არც სჭირდება გიდი!..
ბიჭო, აი, გიდი! —
ბრალი გიდებს დიდი! —

ჩრდილს აყენებ მამულს,
ერის სახელს ყიდი!..
არ შევრჩება, არა,
მგზავრობანი მშვიდი!

სამართალი გეძებს —
მომართული მშვიდე!
წლებს დაითვლი მწარეს,
დღემდე ფულს რომ თვლიდი!

ცოდარ შამანაძე



უსიტყვილ

კავი. ჩრეალსას ადაზები უყვარება

უშანგ დიმიტრი ის
ქ პაპუნაშვილი იმით იყო
ცნობილი, რომ სიტყვას არ
დასველებდა, ანგაზა არ
მიეკოლებდა. მისი მთავა-
რი, სეუეანდზა: „ესაც უნ-
და ხერხი იყოს, გაქონდეს
და გამოჰქონდეს“ ხომ მუ-
დამ პირზე ეკერა და ეს
ანდაზაც ალბათ უმანგის
მინავან ბუნებასაც გამოხა-
ტავდა, რაღგან მისი ცხოვ-
რების დევიზის მუდმი ის-
ყვით, რომ საზოგადოები-
საგან რაც შეიძლება მეტი
წაეგლიჯა და ცოტა მიე-
ცა.

უშანგ პაპუნაშვილს მეო-
რე ცნობილი ანდაზა —
„საზაფ არა სხობს, გაცდა
სხიბს“ — მუდამ ასხოვ-
და; ამიტომ იყო, რომ ამ
კ წლის კაცს უამრავი
დაწესებულება და ორგანი-
ზეცია გამოიცვალა. რაიწ-
ყებდა მუშაობას, წაიმუშ-
ებდა ცოტა ხანს და თუ

მისთვის სარფანი არ იყო,
უმალ სხვა სამუშაოზე მოწ-
ყობისთვის ზრუნავდა,
თან მის საგუნდო ანდა-
ზასაც იმეორებდა: „და-
ჭედავენ და მერე იძახ,
არ ვარ აქლემიო!“

უქანასკნელად სამასტუ-
რში უ. პაპუნაშვილი 1983
წლის 23 სექტემბერს გა-
ფრიმდა. მან ამჟერად მუ-
შაობა დაიწყო თბილისის
რენიგიზის ფოსტამტში ამ-
ანათების გამოილებელ-
ობერტორიად.

„კარგი დასაწყისი საქმის
ნაევებია“, — ჩაიანდაზა
უშავებმ მუშაობის დაწყე-
ბის პირველ დღეს და საქ-
მიანობას, როგორც სჩვე-
ოდა, მოჩვენებით გულ-
მოდგინებით შეუდგა, რათა
უფროსების ნდობა დამშა-
სურებიად.

„დროზე მოუსველი დრო-
ზე მოიგის“, — გაიფიქრა
უ. პაპუნაშვილმა და გასუ-

ლი წლის 29 დეკემბერი
მოქმედებას შეუდა.

იმ დღეს მწერ უძრავის
ფოსტაზე მიმდინარე
ნაობების წილულების უფლებ
აუგარებინა №41 საფოსტო
განყოფილებისას ამანა-
თების მიღებისას მან თვა-
ლი დაადგა ამანათ №4185
-ს, რომელსაც ქ. მოხვევი-
ლას გზავნიდა მოქ. ჩ. წუ-
ლევიძე.

— მაქაც! — შეეხმანა
უშანგი ფოსტაზე ამანა-
თების გადამტანი ავტომან-
ქანის მძღოლს, — ხომ გა-
გიგონია ანდაზა: „ეპი კა-
ცითამ, ღომე ქვეცითამ!“
პოდა, ეგ მანქანა აგერ,
სასინკლესან გააჩერე, ამ
ამანათების ჩაბარებას მე-
რე მოვასტრებთ. ახალი
ლუდი და ხინჯაღი ნამდ-
ვილად მოვაცებება. პა,
რას იტყვი?

— ჩემმა მზემ, კარგი წი-
ნადადებაა. რაც შეეხმა
ანდაზას, ანდაზოვვ გია-
სუხებე: „ეპი კაცი მა-
საქმემ თავისია“, — აბა,
შენ რიგი დაიკავე, მე ახ-
ლავე დაკარუნდები!

— ბიჭოს, შენ ჩემი სა-
გუნებო კაცი ყოფილხა. აბა,
ესეც დაიმასოვრე: „კაცმა
კაცისა თქვას და
საქმემ თავისია“, — აბა,
შენ რიგი დაიკავე, მე ახ-
ლავე დაკარუნდები!

უშანგი სწრაფად ავიდა
მანქანაში. სწრაფადევ მო-
ძებნა წინასწარ შეგულია-
ნებული ამანათი №4185,
დანით თავი მოხერხებუ-
ლად ახადა, საიდანაც ამო-
ილ 4 წევილი ბავშვის
პიფაში, 6 წევილი ფოსტ-
ლები, ბავშვის 2 შარვალი,
2 წევილი კაბა, 4 წევილი
ფეხსაცმლები, ქარის გარ-
ნიტერი და სხვ., სულ 299
მანეთად ღირებული სამ-
რეწველო საქონელი. შემ-
დებ ჯიბიდან ამოილო წი-
ნასწარ მომზადებული მხა-
თი და ნემს და ამანათზე
გადაკრული ტილო ისე ოს-
ტატურად გაერა, რომ ეშ-
მაიც ვერცხეს შეატყობ-
და, ამანათი თუ გახსნილი
იყო. ნაერდალი ნივთები
ასევე წინასწარ მომარჯვე-
ბულ ტომარაში ჩაყარა და
კუთხეში მიაგდო, სახინკ-
ლეში შევიდა, მძღოლს
მხარზე ხელი დაკარ:

— პა, როგორაა, ძმაო-
ჯან, ის... „ეძიებდე და
პაოვებდე“. აბა, ეს კათხა
ლუდი მომაწოდე!

ნათებამია: „მაღა ჭამაში
მოდისო“ და პირველი
წარმატებით გალალებულმა
და ფრთხებაშლილმა ამანა-
თების გამცილებელ-ოპე-
რატორმა უშანგ პაპუნა-

ლენინგრადიდან
გამოგზავნილ კ. ბაბაევის
№332 ამანათს დაადგა ოვა-
ლი, შემდეგ მოსკოვიდან
ავტოსოვის მიერ გამოვ-
ზვნილ ამანათ №176/1-ზე
გადაინაცვლა. ამანათებს
აცარიელებდა და თონ აჩე-
მებულ ანდაზას ხშირად
იმეორებდა: „ცხვის რომ
დაისველებ, ლოყუბიც თან
მიღყებაო“. ორიოდე ამა-
ნათიდან 1000 მანეთად
ლირტული საქონელი ამო-
ილო. შემდეგ მას №535
ამანათიც მიაყოლა, საიდა-
ნაც ამოილო მამაჯაცის 2
წევილი ფეხსაცმელი, 2
წევილი ქალის ხალათი,
სპორტული კოსტიუმიც ზედ
მიაყოლა. აძლევრად სულ
189 მანეთის საქონელი მი-
ითვისა. შემდეგ რიგი სხვა-
ზე მიდგა. როდესაც №331
ამანათი გახსნა, ანდაზების
მოყავრულ კაცს პირკატა
ეცა. ერთხანს გატბილებუ-
ლი, პირგამებული დასც-
ქეროდა გახსნილ ამანთს,
რომელშიც ჩვილი ბავშვის
ორთოულების კომპლექტი
იყო ჩატაბოლიდი. რას ვი-
ზამთ: „ერავის თავს მო-
ევლოდა და ძალის თავი
გამოგორიდა, სწორდე ის-
ევა, ამასაც არა უჟავი!“
ის იყო, ამანათიდან ბავშ-
ვის კომპლექტი ამოილო,
რომ მასში სხვა ცვირებას
ნივთებიც აღმოჩნდა - აი,
მესმის, ასლა კი მჯერა ან-
დაზისა: „ერდღლის კვალი
დათვან მიღებულის“. ან-
დაზების ისტატმა ამ ამა-
ნათიდან 257 მანეთის სა-
კონელი მოიპარა, კვალი
საკრებულა ნივთს უშანგ
პატუნშვილი ნავთლულის
ბაზარზე ასალებდა.

კაცს, ომელსაც ანდა-
ზები უყვარდა, ერთი ან-
დაზა მაიც დაავრცყდა:
„ანაბარი მგელმაც იტისო“
მგელზე უარესი უშინ პა-
რაუშებილი კი ისე გაეძა-
მახში, კით ჩიტი — კაპ-
ნაში. იგი სამართალში
მისაცა.

ବାବ. ୩. ଲୋକପଦିତ୍ତ



— სანამ ონკანში წყალი არ ჭამოვა, არაუგანს
ურთ ერამსაც არ გვაძლდი.

65537278

- ପିତାମହ, ୩୦ ୬୧, କ୍ଷେ-
ରୀ ଶ୍ରୀମଦ୍ଭାଗ୍ଵା, ଲା ଶ୍ରୀପୁଣ୍ୟ,
ଲା ଶାଶ୍ଵରତନ ଏକେ ଶୈଳିନାମୀ
● ପିତାମହ କି ତଥା
ରୂପ, ଚାରି ପାଦ କି ମନୋ
ପାଦ ପ୍ରକାଶରେ କୁରୁକ୍ଷଣ କିମ୍ବା
ଲା ପାନ୍ଦିତ ଏବଂ ଅନୁଭବୀରୁ
● ପିତାମହଙ୍କାରମାତ୍ରମାତ୍ର
ଦ୍ୱାରା: ଶଲଙ୍ଗାଶ କ୍ରାନ୍ତିକ
ଦ୍ୱାରା ପାଦ ଦ୍ୱାରା... କ୍ରାନ୍ତିକ
ନାମକରଣ ହିନ୍ଦୁରାଜ.
● ପାପପରିଦ୍ୱାରା ମୁଗ୍ଧ
ରେ କ୍ଷେତ୍ର କୁରୁକ୍ଷଣ ଏବଂ ଦ୍ୱାରା
ରୂପନ୍ତି, ତାଙ୍କ ପାଦପରିଦ୍ୱାରା
ଲାକ୍ରମ ବେଳୁରାଜସ୍ତବ
● ଶୈଳିନୀଲୀଲା କ୍ଷେତ୍ର
ଶୈଳିନୀଲୀଲା ପାଦପରିଦ୍ୱାରା, ତାମିପା
ମାତ୍ର ପାଦପରିଦ୍ୱାରା ଲାମଦଳିନିବେ
କିମ୍ବାନିବେ ଗାନ୍ଧୀ.

ଓଡ଼ିଆ ପ୍ରକାଶକଳୀଙ୍କାନ୍ତିର

Ա Յ Ա Պ Ե Լ Ո Յ Ե Ր

ଓର୍ବାଜନ କାଳୀ

မတေသး အရာတစ် ရှေ့ကျက်
ခြောက်ဖြစ်ပါ၏ ဘယ်လဲ
ခွဲ့ပေး ရှာဝေသဒ္ဓရိ အား ဒီဘန္ဂနာရီ
ရှေ့လ ဘာဂုဏ်ကောင်းမြှုပ်လောက်,
ရှေ့မ အာမတေသးမြေဆောင်။?

სანდახან ცოლთან წუწუნებ:
„ინტრიგანს მეძახიანო!..“
მაშინ ეგ ენა ჩაიგდე,
შენც ნულარ მეძავშმიანობ!..

ბეგჩაო, პირში ვძრახავენ,
ჰესა მაინც ვერ ისწავლე,
და ინტრიგანობისათვის
მთელი სიცოცხლე იწვალე!

ეგ მოვნის! ჩინიც გაირტყო,
„ანონიმებსაც“ ჩარხავო
ქიდევ ჟევით რით
„გაგვაზარებ“,
შე პირველ დასმარხავო?!

შოთა არაბული (ყაზბეგის რაიონი)



— მოხსენება. მაგრამ სავარდელს ვერ კი გლოგას

ՅՈՒՆԻՎԵՐՍԻՏԵՏ ԱՐԴՅՈՒՆԱԳՈՐԾ

ცერველთა

პანორამა

“ვესტუროს გუნდს სასწრაფოდ ესაჭიროება მექარე, თო-
ხი მცველი, სამი ნახევარმცველი და სამი თავდამსხმელი. კონკურს-
ში გამარჯვებულები უზრუნველყოფილი იქნებიან კოოპერატიუ-
ლო ბინებითა და ავტომანქანა „შიგულებით“!

საზოგადი დამნაშავე

გამოუსწორებელება არამზადამ დორე სიღაძემ კვლავ
ჩაიღინა მძიმე დანაშაული. ამჯერად გან უსირცხვილოდ მოიარა-
შობენის მეოთხე პრელუდის ფინალი. დამნაშავე განაირადეს ნა-
ჭურდალის ჩეალიზაციის დროს.

ବାଲକାଳୀ ପରିତଃକ

წლის მე-5 ნოემბრის რუბრიკით — „ბარათები ნიანგს“ — გამოქვეყნდა ზნაურის რაიონის სოფელ ბალთიდან გამოგზავნილი პატარა წერილი, რომელიც რედაქციას ატყობინებდა:

„ზნაურის რაიონის სოფელ ლაშებალთას შუაზე ყოფს მდინარე ჭურისხევი და აქეთა და იქითა მხარეს მცხოვრებ ნათესავ-მეზობლებს შეუბრალებლად გვაშორებს ერთმანეთს.“

ძვირფასო ნიანგი! კარგი იქნებოდა რომ ვერ გვიშუამდგომლობდე ჩვენი რაიონის ხელმძღვანელობასთან და ერთ პატარა ხიდს გაგვიდეგზენ ამ მდინარეზე!

წერილს ხელს აწერენ: პეპიევები, პლიევები, ვალიევები, ცხოვრებოვები.

მას შემდეგ ჭურისხევში ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ ბალთელთა წერილი დარჩა ალთას, საქმე კი — ბალთას. კაცის შვილს არ შეუწუხებია თავი არც ხიდის აშენებისთვის, არც „ნიანგისთვის“ პასუხის გამოგზავნისთვის. პაბიევებმა, პლიევებმა, ვალიევებმა და ცხოვრებოვებმა, სამი წლის უშედეგოდ ლოდინის შემდეგ: კვლავ გამოვიგზავნეს ბარათი, რათა ვუშუამდგომლოთ ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან, რათა მათი სამართლიანი მოთხოვნა დააქმაყოფილონ. იმედია, ზნაურის სახალხო დებუტატების რაისაბჭოს აღმასკომი ახლა მაინც იღებს ყურად ბალთელთა თხოვნას და აუშენებს მათ პატარა ხიდს!

მე რომ ერთ-ერთი ყოვლად საჭირო, საკავშირო მნიშვნელობის საწარმო ვარ, ეს, მგონი, ყველაზ იცის, მაგრამ ბევრმა არ იცის ჩემი გასაჭირო: 1979 წელს დაიწყეს ჩემი ახალი კომპლექსის მშენებლობა, რისთვისაც უხვად მომაყარეს სხვადასხვა სახის იმპორტული დანადგარები. ჩემდა სავალალოდ, მშენებელ-მემონტაჟერთა გადაუდევრობით, უყურადღებობით, შინაგარმაც და გარეულმაც თანდათან, ჩუმ-ჩუმად და ნელა-ნელა სადლები გაუჩინარეს და გაანივეს ამ ძირიადლირებული დაც გაუშენების და მოწყობილობების ზოგირთი ნაწილანადგარებისა და დეტალები აკლია თხმოცდაქვე ცალ ქიმიურ ლები. დეტალები აკლია თხმოცდაქვე ცალ ქიმიურ და ტემპერატურის მარეგულირებელ კარადას, ექვს და მარეგულირების მარეგულირებელ კარადას, საკონტროლო-საზომია და კონფიდენციალური მომართების მიმართ აუცილებელი იყო.

მხრვალის ალის, საქამა-ხალთას!

ცაგახველის გიორგიმარის ჩივილი



გორის რაიონის სოფელ ხიდის თავიდან გვწერდნენ, რომ კლუბი მწყობრიდან გამოსული და შესაკეთებელია, არ მუშაობს აბანო, რკინიგზის ხაზთან დანგრეულია ბაქანი, ხშირად ითიშება სინთლე, ირლვევა ავტობუსების მოძრაობის გრაფიკი...

აღნიშნული წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა სახალხო დებუტატების გორის რაიონული საბჭოს აღმასკომს, საიდანაც გვატყობინებენ:

„სასოფლო კლუბი კარგა ხანია შესაკეთებელია. იმის გამო, რომ ხიდისთავის სასოფლო საბჭოს და კლომეურნეობას არ გააჩნია კლუბის რემონტისათვის საჭირო თანხები, მას მიმდინარე წლის ბოლოს შეაკეთებს რაიონის კულტურის განვითარება. აბანოს ასამუშავებლად უკვე ტარდება ლონის ძიებები, სულ მაღლე ახლით შეიცვლება ძველი საქადე. რკინიგზის ხაზის მეორე ჩიგის მშენებლობის პერიოდში დანგრეული ძველი ბაქანი აშენად კეთილმოწყობილია, იქვე აშენდა მოსაცდელიც, სადაც გახსნილია ბილეთების სალარო. ზაფხულის ბოლოს მოსაცდელი გადაიხურება.

რაც შეეხება სინათლეს, სოფელში განათება უკვე რეგულარულად არის. მოწესრიგებულია ტრანსპორტის მუშაობის საკითხი — სოფელს ემსახურება №7 მარშრუტის ორი ავტობუსი და №5 მარშრუტის ტაქსი. გარდა ამისა, ხიდისთავის გავლით სისტემატურად მოძრაობენ ატენის, ბოშურისა და ქვახერელის მიმართულებით მიმავალი აკობჯები“.

(დასახული გვ. 11 გვ.).



ხელსაწყოს, თრიოცდაათ ცალ ელექტროძრავას, სამ კომბლექტ წნევების ცალ სანტენიკურ ხელსაწყოს... ნათებამია, ზღვა კოვზით დაილაოს ამ დანადგარების ფასი კი კაპიკა მოპარული ნაწილებისა და დეტალების გარეშე...

ეს მოხდა სამონტაჟო და გამშევებ-გამმართველი სამუშაოების შესრულების დროს. ვინ გაატყავა და ვინ გაძარცვა მოწყობილობა-დანადგარები, ან ვის რაში სჭირდება, ვინ რაში იყენებს ამ ნაწილებს! მაინც ასე თვალსა და ხელს შუა სად გაქრა ეს უტყვია მექანიზმები? იმედია, „ნიანგს“ მაინც ეტყვიან სიმართლეს!

ბიოკომბინატის ჩივილი ჩანწერა ვანო ცინცაძე

მდგრადი:
 ა. აჩაშიძე
 ბ. კუცია
 გ. ჭავჭავაძე

კონტაქტი



— ნახ, ჩემია სამჯროს უფ-
როსმა ხარისხი შესწირა და პარ-
ტია მოიგო!



କବିତା ପଦ୍ମନାଭ

ଶରୀରରେ

କେମିଲ୍ସ ରାଜ୍ୟରେ ଏହା ପରିବର୍ତ୍ତନରେ ଦେଖାଯାଇଛି ।

କୁଣ୍ଡଳୀରୁ, ଉତ୍ତରାଜ୍ୟରେ ଆଶିନ୍ତା ହାତିଲାଦିଲା
ଲୋଦିଲା ମାତ୍ରରୂପରେ କାହାରୁଥାଏ... ଗାନ୍ଧାରୀଶ୍ଵରଙ୍କୁ
ମେନିଷଙ୍କୁଲୋକରାଣ ମେନିଷଙ୍କୁଠାଏ...

କିମ୍ବା ଅନ୍ତର୍ଗତରେ ସାହରପାଳୀ, ଶର୍ଣ୍ଣରୁ ମୁହଁମ୍ବଦୀ ରୋ
ଲୁହାଗ୍ରାମ, ମହାରାଜା, ବ୍ରାହ୍ମଣ, ଅଲ୍ଲା ଓ ଶ୍ଵର
ନ ହିଂମାଲାଙ୍କା, ଶାରିନ୍ଦିନୀ, ଶାଖ ଫଳଶ୍ଵରମଣ୍ଡଳ ହେଲୁଥିଲା।

ବିଜ୍ଞାନ
ପର୍ଯ୍ୟାନ
ମାନ୍ୟ
ମାନ୍ୟ
ମାନ୍ୟ
ମାନ୍ୟ
ମାନ୍ୟ

— მაგრამ ეს ადგილი და — ის მატებულის
— დღისწილონი და ა. პ.
მაგრავით უნდა ჰყენა შენს ღვერთს, კი
ნა, იმან უშენოდაც მშვენიობა იცის, უმრა-
ნდა შეეხენო..

დაც შიში არ გაიკარო და კველუხერს ეძვე-

କାହାର ପାଇଁ କାହାର ପାଇଁ କାହାର ପାଇଁ
କାହାର ପାଇଁ କାହାର ପାଇଁ କାହାର ପାଇଁ
କାହାର ପାଇଁ କାହାର ପାଇଁ କାହାର ପାଇଁ
କାହାର ପାଇଁ କାହାର ପାଇଁ କାହାର ପାଇଁ



ହାତ୍ତିଶ୍ୱରପୁରୀଙ୍କାଳେ ଏବଂ ଦୟା ଅନ୍ତର୍ଗତ ଏବଂ ତୁମର
ଦୟାରେ ଏକରଣାବତ୍ତିଲ୍ଲାପି
ପଦ୍ମଶର୍ମକୁମାର ଖ. ପାଠ୍ୟପାଠି



ჭირი მარტინი

ერთული ხალხური იუმონი

გლეაზეას და აცემინა: იცოცხლე, გლახუა, მანამდე, სანამ ჩვენს სოფელში სასმელი წყლის წყალსა-დენი არ აშენდეს და სატელეფონო კავშირი არ მოწეს-რიგდეს! — დალოცა მეზობელმა.

— რატომ ყიდით 6-მანეთიან ჭიქებს 9 მანეთად? — ჭიქები თავდაღმა დაწყობილი მაწერია ფაქტურით!

— შენ რაღა მოგარბენინებდა აქ? — ეკითხება სიხარულით გულ-გახეთქილს სიციფით მკვდარი.

— მეზობელმა ენა მომიტანა, შენს ცოლთან ვიღაც კაცი დადისო. მთელი ღამე ვუყარაულე. არავინ მოსულა. გამოვედი და ის მეზობელი გავლანძღვი. შვილები დაიფიცა, ახლაც თქვენსა არისო ის კაცი.

იმ მეზობელთან ერთად მთელი სახლი გადავაქოთ. რომ არავინ აღმოჩნდა, გამიხარდა და გული გამისკდა..

— შე უბედურო, სახლი რომ თავდაყირა დააყენე, გამოგელო ფინური მაცივრის კარი, შენც გადარჩებოდი და მეც!

— ჩემი ქალი ნიშნის მოგე- ბით ეუბნება:

— დედა ენაცვალოს! ქალაქში გათხოვდა! ქე მაინც კოლექტივში არ იმუშავებს ზოვიერთებივით!

— ჩემი სოფელში ბრიგადირს წაპყვა და შრომა- დღებს უმუშევრად უწერს!

— კაცო, სიმონიჩი გაუძარცვავთ, ორმოცდათი ათა- სი წაურთმევიათ და არ უჩივლია!

— უჩივლია კი არა, ოცდათი ათასი მეორე დღეს გაუგზავნია, არ გამამხილოთო!

ოცელი სიძე ეწვია ტყიბულში ცოლისძმას:

— უჰ, ძალიან დავიღალე! — ცხენი გყავდა და მაინც დაიღალე? — ცხენმა რა იცოდა, სად უნდა წასულიყო? მე მო- უძღვებოდი!..

ნადრევად დათოვა და ალისტრახოს საქონლის საკედი არ აღმოაჩნდა. სოფელი მოიარა, ვერ იშვია და პირში ჩალაგამოვ- ლებული და დაძმარებული დაბ- რუნდა.

— რამ დაგაღონა, ალისტრახო?

— რამ და, ახლა კონა ჩალას მანეთნაკლებ არ ყიდიან. არ იციან მაგ უბედურებმა, რომ ორი კვი- რის მერე კონა ჩალა აბაზი შე- იქნება!

— რაფრა, ალისტრახო?! ახლა თუ მანეთი ლირს, ორი კვირის მერე უფრო არ გაძვირდება?!

— კი, აპა! დაწყდება საქონელი შიმშილით. პოდა, შენი არ ვიცი და, მე არ ვჭამ ჩალას!..



— გამარჯობა, თედო! სადა ხარ, კაცო, რამდენი ხანია, აღარ მინა- ხიხარ?

— გუშინ ვენახები ბოლოზე რო მიდიოდი, დავინახე; ერთხელ ვთქვი, გამარჯვებას დავუძახებ- მეთქი, მერე ვიფიქრე, ერთი მა- გისი!..

ხელოსანი: რა სჭირს ამ ტელევიზორს?

ჭიჭიკია: შიგნით აქვს რაცხა მოშლილი!..

ხელოსანი: მაშინ შინაგან ექიმს მიუთრიე ეს უპატ- რონ!

ზექრიბეს სიმონ ტბებალაგებ (ჭიათურა), ჯავალ გახათაძემ (ზეხტაფირი), ბიჭიკო ბარდაველიძემ (თერჯოლა), ბარი გალლაზერიძემ (ჭუთაისი).

პუმრობის გარეშე

სიკეთი და პოროტება

როცა სიკეთით სავსეა გული
და ანაწილებს უხვად და ჩუმად, —
სიკეთის რტოებს კაფავენ ცულით
და მეტი მიაქვს მელას და ტურას!..

და ვიღაც ჩემთვის იმეტებს ბოროტს,
მხოლოდ სიმწარე უნდა მარგუნოს!..
ოი, კეთილის ბეღო და ბოლოვ,
უმაღურთავან გზადაკარგულო!..

სიკეთეს მაინც არ დავიშურებ,
სიკეთის ყანას სხვებისთვის ვცელავ,
თუმცა წადილი ვერ ავისრულე,
ვერ განვერიდე ტურას და მელას!..

მათ ურცხვად მიაქვთ მეტი და მეტი,
ცოტალა რჩება სულით ახლობელს!..
მაშ, მოვუგრიხოთ ბოროტებს ქედი,
თორემ სიკეთის ხეს გაახმობენ!

მექალთანი გარიყაცია


დილიდან დამემდე
მიყვები ქალებზე,
ნუთუ, სხვა ამქვეყნად
არავინ გახსოვს?!
შენი გასალეწი
კალო ხომ გალეწე?! —
გეყოფა, სიყვარულის მახვშო!

ტრფიალის მანტიას
თეთრ ძაფით ნუ ქარგავ,
ამოსდე ლაგამი
ვნებათა წყურვილს!
არ იცი,
კაცობას პატივს რომ უკარგავს
ამოშრეტილი სული?!

დაუშვი აფრა და
მიხედე ბადიშებს,
გადათეთრებული წვერით,
თორემ მონასტერში
უმრევლოდ გაგიშვებ,
ზედაზენს სჭირდება ბერი!

კვლავ შეშტოთებას იწვევს ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნინ“
მდგომარეობა, სადაც ბოლო წლების განილებები ჩაწერა 8 მე-
ლიონი მანეთის პროდუქცია. ეს მილიონ წყვილშე მეტი ცალ-
საცმელია, რომლის ხარისხი და გარეგნული ხანი არ შეინ-
ბამება თანამედროვე მოთხოვნებს... კვლაუდიანი უნდა გი-
ლონოთ, რათა ალვადგინოთ თბილისის ფეხსაცმლის პრეს-
ტიფი, ჩვენი საფამრიც მარჯის პრესტიფი.

ნახ. გ. ლომიძისა



— მიშველეთ, ამ ფეხსაცმლით როგორ დავიძ-
რუნო პრესტიფი?!

ლომიძის სახლის მეტება

- სახათა გაცურების ოსტატი იყო, მაგრამ საქუთარი თავი ვეღარ გააცურა და მელნის ტბაში დაიხრია.
- აფიორით ცხოვრობდა და აფიორიზმებს წერდა.
- დიღვათან რედაქტორობდა, პატარებთან დიქტატორობდა.
- წიგნებს უფრო და უფრო ასკელებდა, მაგრამ შიგ ნაკლი ვერ გამოლია.
- სეპისებს აკრიტიკებდა, თავისებს დასჭივ- ჭიებდა.
- საოპირატა იყო და თავი ქრიტიკოსი ეგონა.
- გველას მუშტი ულერა, სანამ არ აღიარეს.
- გამომცემელი ზოგს სცემდა, ზოგს წიგნებს უცემდა.
- სახათა ენებიდან მთარგმნელი იყო და მაინც ორიგინალობდა.

ელგუჯა მარაბიშვილი



ორელა

ერთხმ კაცმა ახალ მიკრორაიონში წყალსადენის ჭა ნახა თავასძილი, შედგა და გაოცებისაგან იყვირა:

— ხალხო! ხედავთ, როგორ დაუტოვებიათ ორმო თავდია?! რომ ჩავარდეს ვინე და უხი მოიტეხოს?!

— აუქ, ზოგი რა უპასუხისმგებლორ, კაცო! კი არ უფიქრდება, რა შეიძლება მოცეკვეს ამას?! — შეიცხადა მეორე გამო-ლელმა და იქვე დადგა.

— რას უყურებთ?! — დაინტერესდა მესამე და როცა აუხსნეს, დანანებოთ თქვა: — აუქ, სულ გაფურდა ეს ქეყანა, ჩვენ დღის ამას დაგურუავდით ჭი არა, დავლუქავდით კიდეცა!

— შენ ისა თქვი, ლამე რომ ყოფილიყო, ხომ ყველანი კისრისტეით ჩავცეკვებულით შიგ?! — აღშეოთდა მეორე.

— ღმევ ეგრევე იქნება რა, მე შენ გეტყვი, მოვა ვინე და დაბურავს!.. მაგის დარღი აქვთ? განა კველა ჩვენსავით ქვეყნის გულშემატევარია!..

— მე რა მიკირს, იცი? — თქვა ისევ პირველამომჩენა, — რაღა აქ წამოჭიმეს ეს ცათამბჯენები ბურნოს-აირესივთა, სხვა ადგილი კერა ნახსე? გაბსიოს, რა მშვენიერი იყო ეს მიდამოები — უაც-რიელი, გაპარტახებული, ქვალორლიანი, ეკ-ალბარლის მეტი რომ არაფერი იზრდებოდა, ახლა, ბატონი, წყალ გამოგიყვნებით და, იმსა კი არ ჩივიან, რომ ჭა დატოვეს თავასძილი!

— ან ამ გზატეცილების გაყვანას ვინ ეხვევებოდა ნეტავ, ყოფილიყო ისევ ის ოლროჩილრ ბილიკები, მაშინ არც ეს ავტობუსები შეგვაწუხებდნენ, სპეციალურად რომ დაგვინიშენეს და აღარც ეს ორმო დარჩებოდა თავასძილი...

— ანდა ეს ბაგა-ბაღი რაღაშ გაახსნევინათ ასე უცბად ამ ყურისძირში?! რომ გაივლიან ბავშვები, ხომ ჩაცივდებიან ამ ორმოში?!

— ბარის ბავშვების ბეჭა ისინიც მიათვა-ლე, აუზში რომ ივლიან საცურაოდ!.. ვე რაღამ მოაფიქრებინათ, კაცო?! აქ აღარ გვადომება იმათი ღრიანცელისაგან!..

— ჩვენი ბრალია, ჩვენი! ვეებროთელა სკოლას რომ აშენებდნენ, მაშინ რომ არ განვაცხადეთ მტკიცე პროცესტი! ახლა

შოედნები და აუზებიც მოინდომეს და დარჩებოდათ ორმო თავლიადა, აბა, რა იქნებოდა?!

— აუ, რა დრო იყო! მაღაზიაშიც კი, ქვევით რომ გვიხდებოდა ჩარბენა, ცენტრში, ახლა შიგ სახლში გავიხსნეს და საბაბიც კი აღარა გვაქვს გავისეირნოთ, ესაა საქმე!

— უყურე, კაცო, ამას, პირდაპირ ორმოსკენ მოდის, ხომ იცი? — იყვირა უცებ ვიღაცამ.

— აბა, გამეცალვ, ვნახოთ, მართლა ჩავარდება თუ ტყუილად ვეიშობთ? — ურჩია მეორემ.

მგზავრი დანდობილად მართლა პირდაპირ ხალხისკენ მოდიოდა და გადაეშვა კიდეც იმროში.

— ვაი, მიშვევალო! რომელი ზართ მანდა, ფეხი მოვიტეხე!.. — მოისმა საცოდვის ბლავილი.

— ნუ გვშინია, აქა ვართ, აქა! — შესძახს მოსეკრებმა და ერთად მისცვიედნენ დაშარალებულს.

— მოკიდე ხელი, კაცო, ამოვწიოთ!

— ვაი, ღვდა, ფეხი! — კვირეოდა მგზავრი.

— აპა, ხო ვითხარი, ვიღაც დაიმტვრევა-მეთქი?! — გახარებული კვიროდა დიდათვალიანი კაცი.

— აბა, კაცო, რომ არ ვუკერებდით ამ ბრძენსა..

— გამოიძახეთ სასწრაფო! ჩქარა, კაცი კედება! — მბრძანებლობდა ვიღაც.

— ვინ დატოვა ორმო თავგადილი იმ ოჯახეორმა, ესე შეიძლება?! — გმინავდა დაშვებული.

— აბა, შენ ეგა თქვი! მაგას არა ვაჭობთ ერთი საათია ამდენი ხალჩი?

— ჯერ სადა ხარ, მოსალამოვდეს, შენ ნახე, აქ რები მოხდები! განგებ არ წავალ არსად და ვუცურებ ერთი, რა მოპყვება ამ უსულგულობა!

— რას ამბობ?! აქედან წასვლა როგორ შეიძლება?! ხომ ხედავ, რა უბედურება ტრიალება!..

— სახლმმართველს მაინც გამოუახოთ, იქნებ იმან გვითხრას, რად დატოვეს ჭა თავასძილი?

— თქვი რა შენც არაკი! იმათ რომ ეს ადარდებდეთ, ამას იზამდნენ?! ბიბის ქი-

რები ხომ აკრეფილი ექნებათ და სხვა რაში ეკითხებათ?!

— აქ ბატონი, უფრო შორს მიითხის საქმე, მე თუ მკითხავ, სამსახურებრივი დისციპლინაა მოღუნებული ფაქ-მუნიცი-

— მარტო სამსახურებრივი ელემენტები მისამართ გვინდინა მართლი ელემენტები და მისამართ გვინდინა მართლი ელემენტები ვერ ვხდავ ამ საქმიეროში!..

— ნახე, კაცო, ნახე, ესეც როგორ დოსტოლრივ მოდის, უსათუო ჩავარდება!

— არა მგრინია, ჩავარდეს! მე მაგას შორიდან ვიცნობ, თანამდებობის პირია და თავადეული იმიტომ დადის, თორემ ისე ძალიან ურთხოდია.

— ხომ არ შეაჩეროთ?! მეც ძალიან მეცნობა რაღაც — თქვა დიდასათვალიანია.

— როგორ გვაძრება! რომ შეაჩერო, ითავილებს, ისეცაც ვხდება და, რომ გადაარჩენ, მერე კი ველარ დაუმტკიცებ, რომ ჩაგარდებოდა!

— კარგი, ვნახოთ, აბა, რას იზამს! მეცალე!

ამ მგზავრსაც იგივე ბედი ეწია და მალე მიის ბლავილი გარემოს იკლებდა.

— ხომ გითხარი, მიწაჟე არ იყურება, საჩენოში რა ბდება არ იცის-მეტად?! ეს ორმოს შეამჩნევდა!

— ეს ხო ჩემი სიმამრია, კაცო! რა მიქენით! — შეიხადა დიდასათვალიანია.

— ჩვენ რა ვიქენით?! შენ არ ამბობდა, მეცალეოთ!

— მიუშველეთ, მიშვევალო, ხალხო, სასწრაფოს გამოუძახეთ! — ისევ აფორისაქდნენ ყველანი.

— საერთოდ უთხარით სასწრაფოს, რომ ერთი მანქანა აქ იდგეს მუდმივად! ხომ ხედავ, რა დღუში ვართ, ვეშტირდება ძალიანა!

— მე მაგათ ვეტვენებ, მიწერ, სადაც ჯერ არსს! — ღმუღა დაშავებული.

ამ დროს გვერდითი ეზოდან ბერთი გამოგორდა და ჭიში ჩავარდა. გამოძრავითი გამოგორდა ათიოდე წლის ბიჭი, ჩატა ჭაში, ამოილო ბერთი, მისედ-მოისედა, სახურავი მონხან, მიაჩინა და დაბურა ინმოს, მერე ერთი კი შესცინა ხალხს, პირდალებულება! რომ შესქეროდნენ და ბურთიან გაუჩინარდა ეზოში.

— ე რა ქნა, კაცო?! — იყვირა ვიღაცამ, გონს რომ მოევო.

— მაგას ვინ კითხავდა?! — იტკიცა მეორემ.

— ბიჭოს, მაგას ხომ ჩვენც ვიზამდით, რომ გვიდომებოდა, მაგრამ აქ პრინციპის საქმეა, განა ბერლით მოცული უნდა დარჩეს, ვინ არის დამაშვევე, ვინ დატოვა ორმოს თავდილადა?

— მართლა, უნდა გამიგვებახებინა! მილიცია და აუტი შევმეტენინა! ახლა ვინ დაგვიკერდების!

— მე ამას ასე არ დატოვები უბრალოდ, ჩემი მოქალაქეებინივე შეგნება არ მაღლევს უფლებას, გარჩეულდე ასეთ უმსაგავსი ფატება მივწერ, საჭიროა!

— მივწერ? მივწერ კი არა, მთელ რესპუბლიკას შევერავ. აბა, მაგათ შევარჩენ, ხომ იცი აშენებდნენ საცურაოდ!..

და სეირს მოწყვერებული ულდაწვეტილი ხალხი ნელ-ნელა დაიშალა.

ირაკლი გილიანი





ყველა სკამი რომ არ არის სკამი,
სკამიდან ვკივი დღისით და ღამით!..
გაგიებულმა თვით ღმერთის სკამით,
ეს ჩემი სკამიც დაკარგო ღამის!..

უფროსი

უნდა გახსოვდეს,
რომ ვიღაცის ხელქვეითი ხარ
და უფრო მეტად —
რომ ვიღაცის ხელზევითი ხარ!

მარეპელი

ავაგე სახლი,
შევთავაზებ თვითონ მაცხოვარს!
ერთს ვნატრობ მხოლოდ,
რომ იმ სახლში მე არ მაცხოვა!

მეპრთამა

ნაცნობს და უცნობს,
ჩინიანს და გინდაც უჩინოს,
თავის ადგილი.
მხოლოდ უცლით მწამს მიუჩინო!

ელიქველი

შენ, ცათა სწორსა,
მოგაეთხე სუსტმან, მკრეხელმან,
ჩემო უფალო,
წინ წამწიოს, შენმან მძლე ხელმან!

სამსახურებრივი სიბრძე

წაიჭორავე ყველაფერზე
ოქვი, თუ არ გითქვას, 678
მაგრამ უფროსზე —
არც ერთი სიტყვა!..
რადგან ის სიტყვა
ადრე თუ ვვინა
დაგიბრუნდება,
ვითარცა ტყვია!..

იუმორისტის თვითერიტიკა

დედის წინ მორბენალი კვიცივით
მუდამ წინ გისწრებდა სიცილი,
ხალხი კაბინეტებში ჩაითმუნა,
შენ მოსაცდელში კვდები სიცივით!..

ოთარ მეოტიუბილი

ნახ. ჯ. ლოლუასი



— რა უნდა შენს ხელს ჩიბეში?!

— რა იყო, რა ქვეყანა შეყარე, რევმატიზი აწუხებს და ხელს ითბობს!

მინიატიურა

სისხეამატა — გვატ კუკიდა
თვალსა და აფეთქება. შეგვი ვუმანები..
ბორცის იძულებული გვავით, გამგე
გავეცრობილებინა, ბაგრა და გვინდებას ისევ აკრძალებთა!..
კიდევ აგვიფრთხილებთ.. სხევამატ მიუ-
თოვეს.. აგვევს მომინების ჰაბა და
კოლეგიუმის გვიჩვეთ!..
გაჭრა ჩვენის ჩივილმა: მოვიდნენ, შეა-
მოწმეს უამი დაბატურდა!..
გათოვება, მეცემანება მოიგავეს, შეი-
შეაგდეს და, სადაც უკრ არსს აქ მია-
რჩებას!..

სწორადაც მოვიტონი ახარ მასზე,
„უტისლ“ რომ ჩამარის ეს დაფეხვილი,
ევასდროინდელი ლუდის ჩამომსმელი
ავტომატ-აპარატი!

გადრი ტონია



ანონიმური წერილების-
გან წალებული კალამს ეჭი-
დებოდა.

ნეიტრალის კარგებად

* * * ეროვნული
თარჯოლის რაიონულური მუნიციპალიტეტის,
ლების — ქვედა სიმონეთის,
ბარი დუბნისა და ზედა სი-
მონეთის გცემების ჩიოდნენ,
დავით კლირიშვილის სახლ-მუზეუ-
მიდან მღვდელმდე მისასვლელი გზა
არა გვაქვს.

ამ წერილთან დაკავშირებით სახა-
ლხო დეპუტატების თერჯოლის რაი-
ონული საბჭოს აღმასკომიდან გვი-
პასუხეს:

„გადაწყდა, რომ დავით კლირი-
შვილის სახლ-მუზეუმიდან მღვდე-
ლდე გაგვეყვანა გზა. თავდაპირველად
დაპროექტდა გზის გაყვანის ორი ვა-
რიანტი: ერთი — მთიდან, ხოლო
მეორე — ქვედა სიმონეთის, ბარ-
ი დუბნისა და ზედა სიმონეთის ტე-
რიტორიის მიმართულებით. მოსახ-
ლეობა სწორედ ამ სოფლებიდან
მოითხოვს გზის გაყვანას. ამიტომ
მშრომელთა ინტერესების გათვა-
ლისწინებით გზის პროექტი სწორედ
ამ ვარიანტით გადეოდა. მასე შედ-
გება ხარჯთაღრიცხვაც და გზის მშე-
ღებლობის დაწყება ნავარაუდევია
ახალი წლიდან!“

* * *

ცაგერის რაონის სოფელ
ჩეუტელის მოსახლეობისაგნ „ნიანგის“ რედაქციამ მიიღო კო-
ლექტიური წერილი, რომელშიც ჩი-
ონენე იმის შესახებ, რომ ცხენის-
წყლის არს არა აქვს დამცველი
ლობე, რის გამოც ხშირია უბელური
შემთხვევები, სოფელში დანგრეუ-
ლია გზა; არა აქვთ განათება.

სახალხო დეპუტატთა ცაგერის
რაიონაბჭოს აღმასკომმა ამის შესახებ
გვიცნობა:

„სოფლის მოსახლეობის მოთხოვნა
სამართლანია. დროთა განმავლო-
ბაში მოიშალა ცხენისწყლის ლია
არჩის დამცველი ბეტონის ლობე,
კეთილმოწყობელია სასოფლო გზა,
ალბადგენია არჩისპირა განათება და
სხვ. აღნიშნული მდგომარეობის გა-
მოსაწორებლად უკვე მიღებულია
ზომები — დამთავრდა არჩისპირა
განათების სამუშაოები, გზის შეკი-
თებასა და მოასფალტებას მასე
დაწყებს რაონის საგზაო სამართ-
ველო, რაც შეეხება ბეტონის ახალი
ლობის მშენებლობას, ეს საკითხი
დასმულია „საქმთავარენერებოს“ წი-
ნაშე და ვებირდებიან, რომ მისი
აღდგნითი სამუშაოები დამთავრ-
დება მიმდინარე წლის ბოლომდე.
რაიონაბჭოს აღმასკომი უველავერს
იღონებს მისასთვის, რათა სოფლის
მოსახლეობის სამართლიანი მოთ-
ხოვნა დაქმაყოფილდეს“.

რეგანის ცინიკურმა გამოხდომაში, „ხუთ წუთში დაბომბოს საბჭოთა კავშირი“, გამოიწვია საყველთათ აღმოფონება, როგორც თვით ამერიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. შეეხო რა ამ პოლიტიკურ ხეანდალს, რეგანმა „ვაშინგტონ პოსტის“ კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა: „ქარგი იქნებოდა, რომ ეს ვე არ მეოქვაონ“.

КОНТРОЛЬНЫЕ ЭКЗЕМПЛАРЫ



სტრილის და იურიული ქულ-
რხალი „ნიაზი“ № 19
(1677) ომტომბირი გამო-
დის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგენშვილი

(პასუხისმგბელი მდიგარი),
გაბუა ამირეჯაძე, ნომადი
ბართავა, ბორის გურგა-
ლია, ნოდარ დუმბაძე, რე-

ვაზ თვარეძე, ჭეშმარი-
ლუა, ნოდარ მალაშენია
(მხატვარ - რედაქტორი),
ალექსანდრე სამხენია,
ბეგენ ხიბარელიძე (მთავარი
რედაქტორის მთადგილე),
ჯანუარ ჩარკაძე, თამა-
რიშვილი, ნაურ ჭუხოთა.

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალშვილი

გადაეცა ასაწყობად 6. 9.
84 წ. ხელმოწერილია დასა-
ხეცდად 9. 10. 84 წ. ქართვე-
ლის ზოგა 60 × 90!/
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცე-
ლი 1,25, სალირიცხვო-საგა-
მომცემლო თაბაზი 1,7, სა-
ქართველოს კპ ცკ-ს გა-
მცემლობა, ლენბის, 14
შევებეთა № 2014 უ 00090
ტირაჟი 138.300. ურნალი
გამოიდის თევზი რჩევა.
რედაქტორის შემოსული მა-
სალები ავტორებს არ უ-
რუხდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008,
თბილისი-8, რესტავრაციის
პრისევერი № 42.

ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, 3/მ მდიგარის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებთა პრეზიდის —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
ერაჟების — 99-02-38,
მდიგარი — მემანქინის —
99-76-69.

Сатирико - юмористиче-
ский журнал «НИАНГИ»
(На грузинском языке)
Тбилиси, пр. Руставели
№ 42. Издательство ЦК
КП Грузии, Типография
издательства ЦК КП
Грузии, Тбилиси, улица
Ленина № 14.

ფასი ვ აკაბილი
ინდიკაცია 76127